76
1935

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ბოლშევიკური ძალებისათვის

ტფილისის სახ. უნივერსიტეტის 10 დღიური ორგანო

№ 8 | 1935 წელი, 25 აპრილი | № 8

გოლშევიკურად გარდავქმნათ ორგპარტ-მასობრივი მუშაობა

ბედნიერია ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობა რომელიც არ განიცდის ტანჯვას, უმუშევრობას; მისთვის ფართოდ არის გახსნილი კარები უმაღლეს და ტექნიკურ სასწავლებლებში რომელთა პირობები დღითი დღე უმჯობესდება.

ტფილისის სახ. უნივერსიტეტის პარტიულ კომიტეტის ხელმძღვანელობას კარგად აქვს შეგნებული, რომ ორგპარტ-მასობრივი მუშაობის კარგად დაყენება სწუვეტს პარტიულ მუშაობის საკითხებს და წარმოადგენს ერთერთ მთავარ პირობას მაღალ-კვალიფიციური კადრების მომზადებისათვის. ამ მიმართულებით პარტიულმა კომიტეტმა დიდი მუშაობა ჩაატარა როგორიცაა ფაკულტეტის პარტ-ორგანიზატორების, აკად. ჯგუფების პარტორგების მოხსენების მოსმენა და სხვა.

ჩატარებულმა მუშაობამ დაგვანახა, რომ ჯგუფის პარტ-ორგების მუშაობა ჯერ კიდევ არ არის გარდაქმნილი. სუსტია კომუნისტების და კომკავშირლების ავანგარდული როლი არ არის შესწავლილი უპარტიო, პარტიული და კომკავშირული მასა. რაც მთავარია ზოგი ჯგუფორგანიზატორი ნაკლებად ზრუნავს იდეურ-პოლიტიკურ შეიარაღებისა და სიფხიზლის გაძლიერებაზე. მაგ: 51 ჯგუფის პარტორგანიზატორი სიხარულიძე ჯგუფში არ აწარმოებდა კონკრეტულ მუშაობას. ხულიგნური გამოსვლებს ჯგუფის ზოგიერთ წევრებისას არ გასცა პასუხი პარტორგანიზატორები მუშფაკში ბერიშვილი ჟალაძე და სხვები არ იცნობენ ჯგუფის წევრებს. ქიმიური ფაკულტეტის 65 ჯგუფის პარტორგმა მამალაძემ ჯგუფის მუშაობაში გამოიჩინა უმოქმედობა ის არც თავისი იდეურ შეიარაღებაზე ზრუნავდა. მან უტიფრად განაცხადა „ჯერ კიდევ ვერ ავითვისე პარტისტორია, ვერ ვკითხულობ გაზეთს სისტემატურადო“ ცხადია რომ ჯგუფის ასეთი პარტორგი ზიანის მეტს არაფერს მოუტანს ჩვენს მუშაობას. სწორედ ასე შეაფასა პარტკომმა მათი მუშაობა. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ყველგან ასეთი უვარგისი პარტორგები გვყავს. არიან საუკეთესო და მტკიცე მომუშავეებიც:

ასეთებია: ისტორიული ფაკ. 55 ჯგუფში ჩხენკელი, ეკონომიურზე, ბოცვაძე, ლორთქიფანიძე და სხვ. ჯგუფის პარტორგების სუსტი მუშაობა შედეგია რიგ ფაკულტეტის პარტ-ორგანიზატორების კანცელარული, ბიუროკრატული მუშაობის, კაბინეტიდან ხელმძღვანელობის, ამის საუკეთესო მაგალითს იძლევა ეკ. ფაკულტეტის და მუშფაკის პარტორგანიზატორები: ჯიჯეიშვილი, ორდენიძე და სხ. ისინი არ მიდიოდენ აკადემიურ ჯგუფებში და ნაკლებად იცნობდენ ჯგუფის პარტორგების მუშაობას მაშინ, როდესაც პარტიული კომიტეტმა შესძლო მისულიყო თითქმის ყველა ჯგუფებთან, და დეტალურად შეესწავლა ყველა ფაკულტეტიდან სამი ოთხი ჯგუფის პარტორგის მუშაობა.

საზ. პედაგოგიურ მუშაობას და სწავლებაში კომუნისტებმა უნდა გვიჩვენონ ავანგარდული როლი მაგრამ რიგ ფაკულტეტებზე მთელ რიგ ჯგუფების მიმართ ეს ასე არ ითქმის. კერძოდ ორდენიძის უხეირო მუშაობის და ხელმძღვანელობის შედეგად მუშფაკში დამკვრელობა გაამართლა 98 კომუნისტიდან 4-მა. სუსტები კი პარტკომკავშირლებიდან და უპარტიოებიდან შეადგენს 273. ეკ. ფაკ. პარტორგანიზატორი ჯიჯეიშვილი კი ატყუებდა ხელმძღვანელ ორგანოებს, რომ სუსტები მას პარტიულებიდან არ ყავს. მაშინ როდესაც ასეთია 10: სუსტებს შორის დახმარების გაწევის მიზნით ვერ იყო დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა, რაც დაადასტურა უნივერსიტეტის პარტორგებთან ჩატარებულმა თათბირმა

უნივერსიტეტი უნდა იყოს მოწინავე სწავლებასა და საზოგადოებრივ პოლიტიკურ მუშაობაში. ეს დიდათაა ძირა რგოლებზე დამოკიდებული. მიმდინარე სესიები უნდა გახდეს კომუნისტების ავანგარდული როლის კიდევ უფრო ამაღლების სესიებად. აღნიშნული მდგომარეობა მოითხოვს მეტად დიდ მუშაობას.

საჭიროა რომ ჩვენ ვიცნობდეთ სტუდენტობიდან, პედ-პერსონალი დან თითეულ პარტიელს, თითეულ კომკავშირელს, თითეულ უპარტიოს ყოველმხრივ შეგვეძლოს მათი გამოცნობა თუ რას წარმოადგენს ის ყოველ მის მუშაობაში.

ჩვენ წარსულ მუშაობაში უეჭველად ქონდა ადგილი სამეურნეო საკითხებისადმი გამოკიდებას ყურადღების გარეშე კი რჩებოდა პარტიული, ორგ-მასობრივი მუშაობის საკითხები, რაც ამ უკანასკნელ ხანში სწორდება. პარტიულ დღის კაოვად [illegible]ება სწუვეტს კომუნისტების აღზრდის საკითხს ის რაზმავს პარტიის თითეულ წევრს [illegible] მიმდინარე სამეურნეო პოლიტიკური საკითხების ბოლშევიკურად გადაწრისათვის. ამ რამოდენიმე ხნის წინად ჩატარებულმა პარტიულმა დღემ, რომელზედაც დამუშავდა ლენინგრადის საქალაქო კომიტეტის პლენუმის დადგენილება და პრავდას 3/4 მოწინავე უნივერსიტეტში არსებულ პარტ მასობრივი მდგომარეობის და ამოცანების საკითხთან დაკავშირებით დიდი აღტკინება გამოიწვია. დიდად გააძლიერა კლასობრივი სიფხიზლე ყველა უბნებზე. მაგრამ პარტ დღე ძალზე სუსტად ჩატარდა ეკ. ფაკულტეტისა და მუშფაკის პარტორგანიზაციაში. აქ გამოსული მოკამათეები არ იყვნენ გარკვეული დასმულ ამოცანებში და როცა პარტკომი აჯამებდა ამ დღის შედეგებს ეკ. ფაკულტეტის. და მუშფაკის მთელმა რიგმა პარტ-ორგანიზატორებმა არ იცოდენ რა საკითხზე იყო კრება ეს უეჭველად ჯიჯეიშვილისა და ორდენიძის უსულგულო მუშაობის ბრალია.

პარტ დღის კარგად მომზადება ეს თითეული კომუნისტის საბრძოლო ამოცანაა.

პარტ აღმზრდელობითი მუშაობის გაშლა და კარგად დაყენება დიდათაა დამოკიდებული თითეული კომუნისტისა და კომკავშირელის იდეურ პოლიტიკურ დონის ამაღლებაზე. ამას დროულად მიაქცია ყურადღება პარტკომმა როგორც ეს აღნიშნული იყო ჩვენი გაზეთის წინა ნომერში: კერძოდ პარტ ისტორიის სწავლების მიმართ. გამორკვევამ გვიჩვენა, რომ პარტ ისტორიის სწავლების დაყენების საქმე იყო არა ნორმალურ მდგომარეობაში კომუნისტები ვერ ერკვეოდენ [illegible] საკითხებში.

[illegible] კომიტეტის ინიციატივით [illegible] მოეწყო 12 პარტ[illegible] ხელმძღვანელი წრე. კ. სურმში 23. უკვე ჩატარებული სამი მეცადინეობის შემოწმების შედეგებმა, რომელიც აწარმოვა პარტკომმა გვიჩვენა, რომ ჯერ კიდევ სუსტია სწავლების ხარისხი სტუდენტები ჯერ კიდევ არ დაუფლებიან ნამდვილ მასალას პრობაგანდისტი რამიშვილი და ცხოიძე მოუმზადებლად შედიოდენ, ასწავლიდენ სქემატიურად. რომლებიც შეხსნილი იქნენ პარტიულ კომიტეტის მიერ.

დროა თითეულმა პარტიულმა შეიგნოს ის მზრუნველობა რომელსაც მას პარტია უწევს. პარტიის ის წევრი რომელიც არ დაეუფლება ამ ფრიად სერიოზულ მეცნიერებას დატოვებს თავისთავს პარტიის გარეშე. თითეული კომუნისტი უნდა დაეუფლოს პარტიის ისტორიას რომელიც მძლავრი აღმზრდელობითი იარაღია „ცოცხალი, მებრძოლი პარტიულ ორგ ნიშაციის ხელში მოსწავლე ახალგაზრდობაზე ზეგავლენის მოსახდენად. მტრული კლასობრივი გავლენებთან საბრძოლველად. ივი თუ ჯეროვნათ არის დაყენებული გვასწავლის თუ როგორ უნდა გამოვიცნოთ კლასობრივი მტერი და როგორ უნდა ვებრძოლოთ მას“.

რევოლიუციონური სიფხიზლე მთავარია ჩვენს მუშაობაში რომელიც არ იყო გამჯდარი მთელ რიგ ჯგუფების სამკუთხედების მუშაობაში მაგ: სამართლის ფაკ. 106 ჯგუფი. სამკუთხედმა ვერ გაართვა თავი ჯგუფში კონტრევოლიუციონურ კითხვებს და თვით მასწავლებლების შეცდომებს.

ასევე ლიტ. ფაკულტეტზე კომკავშირის პარტ ისტორიის შემსწავლელი წრის მეცადინეობის დროს 110 ჯგუფში სტ. ქალმა თინა ბოლქვაძემ განაცხადა „ლენინი მიტომ ადგენდა კონსპექტს რომ მოცლილი იყოო„ ჯგუფის სამკუთხედმა ასეთ კონტრევოლიუციონურ გამოსვლის წინააღმდეგ გამოიჩინა დოყლაპიობა და დროზე არ დაარტყა ასეთ კონტრ გამოსვლებს. ფაკულტეტი მეორე დღემდე ვერ გებულობს ამას.

მაგრამ ეს არ ლაპარაკობს იმას, რომ ყველა ჯგუფში ასეთი მდგომარეობაა პირიქით პარტკომის ჩატარებული მუშაობას დიდი შედეგი მოყვა გაიზარდა ჯგუფებში კლასობრივი სიფხიზლე მაგ: 11 ჯგუფში გამოვლინდა კონტრევოლიუციონური ენით მოსისინე მანწკეპლაძე რომელმაც გააყალბა ოქტომბრის რევოლუციის გამომწვევი გზები და სხვები

როგორც მოყვანილი ფაქტები ადასტურებენ კლასობრივად უცხო დანაგვიანებული ელემენტების არსებობას აღგილი აქვს ჩვენი უნივერსიტეტის სინამდვილეში მისი აღკვეთა გამოვლენა და განადგურება აი რა არის თითეული კომუნისტის კომკავშირელის და უპარტიოს ღირსების საქმე.

უნივერსიტეტის სინამდვილეში მოიპოვებიან კიდევ ადამიანები რომელნიც ეწევიან ლაყბობასა და ვერ იტანენ თვითკრიტიკას და ეწევიან თვალის აბვევას. ასე მაგ: ასპირანტი გ. სვანიძე ყოველგვარი საბაბის გარეშე ეწეოდა ჭორიკანობას და ლაყბობას ხელმძღვანელ ამხანაგებზე. მუშფაკის ხელმძღვანელი ჩოდრიშვილი და ორდენიძე კი თვალის აბვევას და თვით კრიტიკის ჩახრჩობას. ვინც მათ მიმართ ხმას აიმაღლებდენ კერძოდ მიქატაძის მიმართ და სხ. ცხადია სახ. უნივერსიტეტის ბოლშევიკური კომიტეტი ასეთი მოლაყბეებს თვით კრიტიკის ჩამოხრჩობთა მიმართ ყოველთვის ღებულობდა და მიიღებს სასტიკ ზომებს.

საჭიროა მეტად სათუთად მოვეპყრათ პარტიულ კადრებს უზრუნველვყოთ თითეულ კომუნისტის, კომკავშ. თანამგრძნობის იდეურ პოლიტიკური შეიარაღება. კლასობრივი სიფხიზლის გაძლიერება

ბრძანება

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისადმი

21 აპრილი 1935 წ.

ავღნიშნავ, რომ-უნ-ტში სესიების პერიოდში აკადემიურ შემოწმების დროს კიდევ აქვს ადგილი მასწავლებლების მხრივ ლიბერალურ მიდგომას სტუდენტთა შეფასებაში; ამასთან ერთად არის შემთხვევები, როდესაც სტუდენტები მასწავლებელთა დაშინების საფუძველზე ცდილობს ნიშნის მომატებას;

ზემოხსენებულ მოვლენათა წაღებას ნაწილი სტუდენტებისა საჭირო ცოდნის შეუთვისებლად გადადის კურსიდან კურსზე და ცალკე შემთხვევებში კიდეც იღებენ უნ-ტის დამთავრების დიპლომებს.

გამომდინარე იმ განსაკუთრებულ მნიშვნელობიდან, რომელიც აქვს სწავლების ხარისხის აწევას და სტუდენტთა ცოდნის ობიექტიურ შეფასებას **ვბრძანებ:**

1. მიმდინარე სემესტრის აკადემიური შეჯამების სესია ჩატარებულ იქნეს სტუდენტებისადმი აკადემიური მოთხოვნილებათა გაზრდის ლიზუნგით.

2. სესიების დროს სტუდენტთა ცოდნას ამოწმებენ მხოლოდ მასწავლებელთა სპეციალური კომისიები, რომლებიც დანიშნულ არიან ჩემი ბრძანებით.

3. ვავალებ სასწავლო ნაწილს და დეკანებს აწარმოონ სასტიკი ბრძოლა ისეთ ფაქტებთან როდესაც ჯგუფების სამკუთხედები ან ცალკე პირები ერევიან სტუდენტთა შეფასების საქმეში ან და მოითხოვენ მასწავლებლებისაგან შეფასების შეცვლას.

4. სასესიო შემოწმებები ჩატარდეს დაშტკიცებულ ვადაში, იმ ვირად, რომ ჩაჭრილი სტუდენტი არ იყვეს დაშვებული ხელმეორე გამოცდაზე იმავე სესიის განმავლობაში.

5. შესაძლებლად იქნეს ცნობილი შემოდგომაზე სწავლების დაწყებამდე ხელმეორეთ გამოცდა იმ სტუდენტების, რომლებმაც მიიღეს არა დამაკმაყოფილებელი შეფასება ერთ სასესიო და ერთ არა სასესიო საგანში.

6. ვავალებ სასწავლო ნაწილს, დეკანებს და კათედრის გამგეებს სასტიკი ბრძოლა გამოუცხადონ მასწავლებლების მხრივ სტუდენტთა აკადემიურ ცოდნის შეფასებაში ლიბერალიზმის და თვალისახვევის გამოვლინებებს დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემით.

7. ვავალებ იმავე პირებს სესიების პერიოდში ყოველდღიურად დაჰყონ გამოცდებზე არა ნაკლებ 2 საათისა და შეამოწმონ კომისიების მუშაობა.

8. კატეგორიულად აკრძალულ იქნეს სტუდენტთა შემოწმება ბინაზე ან და სადმე უნ-ტის გარეშე.

9. ვავალებ დეკანებს და კათედრის გამგეებს უზრუნველყონ სესიებამდე და სესიის დროს სუსტი სტუდენტებისადმი დახმარების აღმოჩენა.

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი კ. ორაგველიძე

ს. კ. პ. (ბ) სახ. უნივერსიტეტის პარტკომის დადგენილება

პარტისტორიის სწავლების მიმდინარეობის შესახებ

(ამხ. ლ. ცინცაძისა და პროპ. რამიშვილის მოხსენებათა გამო)

პარტკომი აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ არ არის დამაკმაყოფილებელი პარტიის ისტორიის შეთვისება პარტ-კომკავშირის პოლიტ-წრეებში.

პარტისტორიის შესწავლის შეთვისების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით **ადგენს:**

1. ყოველ მეცადინეობაზე სწარმოებდეს დამუშავებულ თემების გამოკითხვა შეთვისების შემოწმების მიზნით, რაზედაც მონდომებული იქნეს არა ნაკლები 20 წუთისა.

2. პროპაგანდისტებმა აწარმოონ სისტემატური შემოწმება მსმენელთა მიერ მთლიანად მითითებული ლიტერატურით გამოყენებლი და დამუშავებული მასალის.

3. დაევალოს პროპაგანდისტებს შემოწმების დროს განმეორებით გაარკვიონ მსმენელთათვის გაუგებარი საკითხები.

4. პროპაგანდისტებმა მსმენელების შემოწმების წინ შეიმუშაონ გამოკითხვის გეგმა. ძირითადი საკითხების გამოყოფით.

5. პროპაგანდისტების მიერ განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს თემის დამუშავების დროს ძირითადი ლიტერატურის გამოყენებას მარქსიზმის კლასიკოსებიდან.

6. პარტკაბინეტმა უზრუნველყოს მეთოდ-მითითებებით პროპაგანდისტები როგორც სემინარებზე ისე ინდივიდუალურად.

7. დაევალოს პარტკომკავშირის ორგანიზატორებს ჩაატაროს მოსამზადებელი მუშაობა კომუნისტებსა და კომკავშირლებში როგორც რიცხობრივ ისე ხარისხობრივ მაჩვენებლების გაუმჯობესების მიზნით. და შეისწავლონ ისეთი კომუნისტ კომკავშირლები რომლებიც ვერ ითვისებენ პარტისტორიის ღრმად შესწავლას და მიღებული იქნეს მათ მიმართ აღმზრდელობითი და უკიდურეს შემთხვევაში ორგანიზაციული ზომები.

8. მოიხსნას პარტკომკავშირის პროპაგანდისტობიდან როგორც სუსტები **რამიშვილი და ცხოიძე,** რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს დაკისრებულ ვალდებულებათა შესრულება და მიეთითოთ მათ.

9. აეკრძალოთ პროპაგანდისტებს პროფსემინარის გავლის გარეშე მეცადინეობის ჩატარება.

10. პარტორგანიზატორებს დაევალოს ჩამორჩენილ მსმენელების შესწავლა და ძლიერებზე მიმაგრება.

11. აეკრძალოთ პოლიტწრეების მსმენელებს დაგვიანებით შემოსვლა მეცადინეობაზე ასეთების მიმართ პარტორგანიზატორებმა მიიღონ ორგ. ზომები.

12. დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „ბოლშევიკურ კადრებისათვის".

ს. კ. პ. (ბ) ტფილისის სახ-უნივერსიტეტის პარტკომის პ/მ. მდივანი: ს. გეგეჭკორი.

თანამგრძნობათა ფორის მუშაობას მეტი მზრუნველობა

მე-17-ტე პარტყრილობის მიერ პირველად პარტ-ორგანიზაციებთან თანამგრძნობთა ჯგუფების მოწყობის საკითხის დასმა დიდ მოვალეობას აკისრებდა პარტ-ორგანიზაციებს. ამ ფრიად სერიოზულ პოლიტიკურ საკითხის მოსაგვარებლად გაჩაღდა ბრძოლა მთელ კავშირში კერძოდ სახ-უნივერსიტეტის პარტიულმა კომიტეტმა თავის დროზე მტკიცე და გარკვეული მითითება მისცა ძირეულ რგოლებს და პირველად პარტორგანიზაციებს.

პარტმასობრივ მუშაობის გაშლით თითეულ სტუდენტის შესწავლითა და დაახლოვებით შევარჩიოთ საუკეთესო ადამიანები რომლებიც პარტიასთან ყველაზე უფრო ახლო მდგომია. იმ უპარტიო აქტივთა რიცხვიდან რომლებმაც საქმით დაამტკიცეს წარმოებაში თავისი ერთგულება პარტიისადმი მაგრამ ჯერ კიდევ არ არიან მომზადებული პარტიაში შესასვლელად. (საკ. კ. პ. (ბ) წესდება).

ამ შხრივ გვაქვს მიღწევები დღემდე მიღებულია 21 თანამგრძნობი მათში ერთი დოცენტი.

მაგრამ ეს არ არის სრულიად დამაკმაყოფილებელი ამ მხრივ პარტ-ორგანიზაციების მუშაობა სუსტია მიუხედავათ იმისა რომ ეს საკითხი პარტკომის მიერ საფუძვლიანად და დროზე იყო დამუშავებული. და მიეცეთ მათ სათანადო მითითება, რომ ამ მიმართულებით გაეშალათ სათანადო მუშაობა.

ეკონომიური, ლიტერატურული, ქიმიური, ბიოლოგიური ფაკ. პარტ ორგანიზატორები ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ აფასებენ ამ უდიდეს მუშაობის საქმეს და ვერ ხელმძღვანელობენ მას სათანადოდ. ასეთია რომ ძალზე მცირეა მეცნიერ მუშაკთა, მოსამსახურეთა და სტუდენტთა მიღება თანამგრძნობთა რიგებში.

რაც შეეხება პროფკავშირის სტუდენტთა აღმასკომს და აღგილკომს მათ არაფერი არ გაუკეთებიათ თანამგრძნობთა მიზიდვის საქმეში. ამას ემატება მთელ რიგ ფაკულტეტების პარტორგანიზატორების აშკარა უსულგულო დამოკიდებულება ამ საქმისადმი. ამ მხრივ რეკორდს ამყარებს ეკონომიური ფაკულტეტი. ფაკულტეტის პარტორგანიზატორმა ჯიჯეიშვილმა 20 სტუდენტის თანამგრძნობთა ჯგუფში მიღების შესახებ 10 ოქტომბერში მიღებული განცხადებები უჯრაში ამოდვა. მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხის შესახებ ამხ. ლორთქიფანიძემ (რომელიც ამ საქმისთვის იყო გამოყოფილი) რამდენმეჯერ მიმართა ჯიჯეიშვილს მაგრამ პასუხი იყო ყოვლად მიუღებელი. რა გვეჩქარება სხვებიც არ ჩქარობენო.

ქიმიურზე ერთი განცხადებაა. ბიოლოგიურზე ერთი, ლიტერატურულზე ერთი და სხ. სწორედ ამიტომ პარტიულმა კომიტეტმა რომელმაც 13 აპრილს მოისმინა თანამგრძნობთა ჯგუფის მუშაობის შესახებ იმფორმაცია ბიოლოგიურ ფაკულტეტის და მუშფაკის პარტორგანიზატორების რის შესახებაც გამოტანილი იქნა მეტად კონკრეტიული ღონისძიებები.

პარტიული კომიტეტი აღნიშნავს რომ თანამგრძნობთა დიდი ნაწილი მოუმზადებელია პოლიტიკურად. პარტორგანიზატორების მიერ ინდივიდუალური შეუსწავლებლობისა და მასზე პარტიულ ამხანაგის მიუმაგრებლობის გამო. არ არიან თანამგრძნობები დატვირთული და სხ.

პარტიულმა კომიტეტმა თავის დადგენილებაში ხაზი გაუსვა წრეობრივ მუშაობის ინდივიდუალურ შესწავლის, დატვირთების განაწილების, მეცნიერულ მუშაკთა მიზიდვის და სხ. მტკივნეულ საკითხებს.

თანამგრძნობთა ჯგუფის იდეურ პოლიტიკურ ამაღლების მიზნით მიმაგრებული იქნა ამხ. ბეროძე. პარტკომის მდივანმა უშუალოდ მოკიდა ხელი ამ საქმეს. მან მტკიცე და კონკრეტული მითითება მისცა თავის შემაჯამებელ სიტყვაში თანამგრძნობთა ჯგუფში შემდგომ მუშაობისათვის.

ამხ. გეგენავა მიუთითებდა რომ საჭიროა დაუყონებლივ ხელი მოჰკიდონ პარტ. ორგანიზატორებმა თანამგრძნობთა ჯგუფის შექმნას ყოველ პირველად პარტორგანიზაციაში. დროა ბოლო მოეღოთ ჯგუფების „ორგანიზაციულ გაფორმების" პერიოდს და ჩავაბათ თითეული თანამგრძნობი სწავლებისა და საზოგადოებრივ მუშაობაში უზრუნველვყოთ სისტემატიური და ღრმა აღმზრდელობითი მუშაობა. აი ის საბრძოლო ამოცანები, რომელიც დააყენა პარტიულმა კომიტეტმა პარტორგანიზატორების წინაშე. რომელიც უნდა შესრულდეს მათ მიერ.

გავდევნოთ უპასუხისმგებლობა კომკავშირის ზრდისა და აღრიცხვის საქმეში

ტფილისის სახ. უნივერსიტეტის კომკავშირის პირველადი ორგანიზაციის ხელმძღვანელები სრულიად უპასუხისმგებლობას იჩენენ კომკავშირის ზრდისა და სოციალური შემადგენლობის რეგულირების საქმეში.

არც ერთი ფაკულტეტის კომკავშირის ორგანიზატორს არ აქვს აღრიცხული თუ რამდენი კ. კ. ასაკის უპარტიო ახალგაზრდა ირიცხება მის ფაკულტეტზე და მათ შორის მუშაობაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია. ამიტომაცაა, რომ კ. კ. ზრდის საქმე უნივერსიტეტის ორგანიზაციებში საფრთხეშია.

უნივერსიტეტის მთელ რიგ ფაკულტეტების პირველადმა ორგანიზაციებმა ვერ გამოიტანეს საჭირო დასკვნები ცენტრალური კომიტეტის არა ერთი მითითებებიდან ორგანიზაციის ზრდისა, აღრიცხვის და მოწესრიგების საქმეში. კ. კ. ორგანიზატორებს მხედველობიდან გამორჩა ამ საქმის უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა.

ქიმიურ ფაკულტეტზე 87 კომკავშირელიდან პირადი საქმე დაკარგული აქვს 16 კომკავშირელს. მანდატი დაკარგული აქვს 10 კომკავშირელს, რაზედაც წელიწადზე მეტია ფაკულტეტის კომ-ორგანიტორი ამხ. ცხაკაია სრულებით თავს არ იწუხებს. ამავე ფაკულტეტზე მიმდინარე სამოსწავლო წლის 3 ოქტომბერს კომკავშირში მიღების შესახებ შემოსულია მხოლოდ ერთი განცხადება—ესებუა ლილი დაბადებული 1913 წელს ყოფ. მუშა ეს განცხადება ამხ. ცხაკაიამ განიხილა 1935 წ. 10 მარტს და მიღებული იქნა კ. კ. ორგანიზაციაში, რომელი განცხადებაც დღესაც დევს ამხ. ცხაკაიას უჯრაში და დღესაც არ არის გადაგზავნილი კ. კ. კომიტეტში, როცა ვეკითხებით ამხ. ცხაკაიას: „რატომ არ განიხილეთ ამდენხანს ამხ. ესებუას განცხადება ის გვიპასუხებს: „ამ ხნის განმავლობაში ვსწავლობდით ამხანაგს და ვამზადებდით პოლიტიკურადო". თუ რაში გამოიხატება ეს მომზადება ამაზე თითონ ოქმის ამონაწერი გვეტყვის.

„მიღებუდი იქნეს საერთო წესით და მიეთითოს პოლიტ ცოდნის ამაღლებისაკენ [იხ. ოქმი № 3. 10 მარტი". ამით ამოიწურა ქიმიურ ფაკულტეტზე მთელი წლის განმავლობაში კ. კ. ზრდისა და აღზრდის საქმე. ასე ესმის ამხ. ცხაკაიას უპარტიო ახალგაზრდათა შორის მუშაობა და მათი მომზადება კომკავშირისათვის.

ოქმში მითითებით ამოიწურა 6 თვის მოსამზადებელი მუშაობა ამხ. ესებუას მიმართ.

ლიტერატურულ ფაკულტეტზე 142 კ. კ. წევრიდან პირადი საქმე დაკარგული აქვს 53 კომკავშირელს. მანდატი არ აქვს 10 წევრს. აქედან გასულ წელსაც არ ჰქონია პირადი საქმე 32 კაცს მანდატი არ ქონებია 4 კაცს.

ამ საკითხებზე ერთხელაც არ დაფიქრებულა ლიტ-ფაკულტეტის კომ-ორგანიზატორი ამხ. დავითაშვილი. მიმდინარე სამოსწავლო წლის განმავლობაში კ. კ. ორგანიზაციაში მიღების შესახებ შემოტანილია მხოლოდ ორი განცხადება. ამხ. დავითაშვილის უჯრედში „იტანჯება აგრეთვე შარშანდელი შემოტანილი განცხადებები. ამხ. ბორის ქოქაშვილის „დაბადებული 1914 წ. მოსამსახურე" განცხადება, რომელიც დღესაც გაურჩეველია ამხ. დავითაშვილის მიერ. დავითაშვილს ყავს ფაკულტეტზე 4 კ. კ. კანდიდატი რომლებიც მიღებულია 1930-32 და 33 წლებში. მათ წევრებათ გადარიცხვაზე ის არ წუხს. ყველა ამაზე ის თავს იმართლებს განცხადებით.

„ფაკულტეტის კომ-ორგანიზატორად დავინიშნე ა/წ. მარტის თვიდან და მანამდე რა ხდებოდა მისორგანიზაციაში არ შეადგენს მის მოვალეობას. მას წევრთა აღოდენობის სიაც არ აქვს.

ეკონომიურ ფაკულტეტზე 645 კომკავშირიდან პირადი საქმე არ აქვს 47 კომკავშირელს. მანდატები დაკარგული აქვს 59 კომ-კავშირელს, რომელთა უმრავლესობა გასულ წელს აქვს დაკარგული მანდატები და პირადი საქმეები და დღესაც მათი მიღება მოუგვარებელია.

მიმდინარე სასწავლო წელს ეკ. ფაკულტეტის კ. კ. კომიტეტიში კომკავშირის ორგანიზაციაში შემოსვლის შესახებ მიღებულია სულ 10 განცხადება. აქედან განხილულია მხოლოდ 5. დ.ნ.რ. ჩენი ხუთი განცხადება უყურადღებოდ არის დატოვებული კ. კ. კომიტეტმა არ იცის რამდენი კ. კ. კანდიდატი ყავს. ფაკულტეტზე. იცის მხოლოდ ის, რომ სამი კ. კ. კანდიდატი გადარიცხული იქნა წევრებათ, რომელიც შედის ზემოდ აღნიშნულ განხილულ 5 განცხადებაში.

ეკ. ფაკულტეტის კომკავშირის კომიტეტს არ აქვს მტკიცე და ზუსტი აღრიცხვა. ფაკულტეტის კ. კ. ორგანიზაციის კომიტეტის მდივანი ამხ. ფაჩულია აცხადებს ფაკ. არის 645 კომკავშირელი', დარჩია კი აცხადებს 635 კომკ. ფაჩულია მიგვითითებს რომ აღრიცხვის საქმეს ხელმძღვანელობს: „ჩემი მოადგილე ამხ. დარჩიაა და ის არის პ/მგებელი". ამხ. ფაჩულიამ კარგად უნდა იცოდეს საქ. ა. ლ კ. კ. ცენტრალური კომიტეტის დადგენილება, რომ კავშირის ზრდის და სოციალური მდგომარეობის რეგულირების საქმეში, პირველ რიგში ხელმძღვანელები აგებენ პასუხს. აღრიცხვის და კავშირის გარეშე მყოფ მშრომელთა ახალგაზრდობის შორის მასობრივ პოლიტიკურ მუშაობაზე.

სამართლის ფაკულტეტზე 189 კომკავშირელიდან პირადი საქმე არ აქვს 16 კაცს მანდატი დაკარგული აქვს 9 კაცს. ამათში არიან ისეთი ამხანაგები რომლებსაც დაკარგული აქვს მანდატები და პირადი საქმეები 1933 წელში და ღღემდის მათი საქმე არ არის მოგვარებული.

მიმდინარე წელს კ. კ. ორგანიზაციაში შემოსვლის შესახებ მიღებულია მხოლოდ ერთი განცხადება ოლია როგავას კ. კ. კანდიდატის კოლმეურნე გლეხის, შვილს განცხადება შემოტანილია 6 დეკემბერს, განხილულია იმავე წლის 23 დეკემბერს ამ ერთი კ კ. კანდიდატის წევრად გადარიცხვით ამოიწურა კ კ. ზრდის საქმე სამართლის ფაკულტეტზე მთელი ერთი წლის განმავლობაში.

გეოგრაფიულ ფაკულტეტზედაც არ გვაქვს უკეთესი მდგომარეობა სულ ფაკულტეტზე ირიცხება 154 კ. კ. წევრი. აქედან არ აქვს პირადი საქმე 13 კაცს. დაკარგული აქვს მანდატი 10 კაცს. აღნიშნული 10 კაციდან 6 კაცს შარშანაც დაკარგული ჰქონდა მანდატები, მაგრამ მათზე არვინ ზრუნავს და მეთრეჯელ შეტანილი მათი განცხადებები დღესაც აწყვია კომკავშირის კომიტეტში. მიმდინარე სასწავლო წელს შემოსულია სულ 3 განცხადება, კომკავშირის ორგანიზაციაში მიღების შესახებ. სიყმაშვილი ანიკო, კ. კ. კანდიდატი 1932 წ. გლეხის შვილი დაბადებული 1913 წელს შემოტანილი აქვს განცხადება 9 მარტს.

2. პაპუაშვილი ანიკო დაბადებული 1915 წ. გლეხის შვილი განცხადების შემოტანის რიცხვი არ არის აღნიშნული.

3. ქადაგიშვილი გიორგი დაბადებული 1914 წ. გლეხი, განცხადების შემოტანის დრო არ არის აღნიშნული.

აღნიშნული განცხადებები არც ერთი არ არის განხილული და გადაცემული კომკავშირის კომიტეტზე, ამდენად არც ერთი კომკავშირის წევრი მიღებასაც არ ქონია ადგილი გეოგრაფ-გეოლოგიური ფაკულტეტზე ერთი წლის განმავლობაში.

აღნიშნული ფაკულტეტის კომ-ორგანიზატორ ამხ. მეგრელიძეს აღრიცხვის საქმიანობით მდგომარეობაში აქვს ჩაყენებული. თითქმის მსგავსი მდგომარეობა გვაქვს ფიზიკო მათემატიკურ ფაკულტეტზედაც: 148 კ. კ. წევრიდან პირადი საქმე არ აქვს 11 კაცს. მანდატი დაკარგული აქვს 7 კაცს. აქედან, ერთს მგელაძე მაროს შარშანაც დაკარგული ჰქონდა მანდატი და დღესაც არ აქვს მიღებული. უკანასკნელ ორი წლის განავლობაში მხოლოდ ერთი კაცია ფიზიკო მათემატიკურ ფაკ. კ. კ. ორგანიზაციაში მიღებული. ამხ. გარდავაძე გივი დაბ. 1913 წ. ასეთივე მეთოდით და სტილით მუშაობს ბიოლოგიური ფაკულტეტის კომკავშირის ორგანიზაციის ხელმძღვანელები და კიდევ მეტი. ამხ. სანაძეს არ აქვს დროა განაწილებული კ. კ. ორგანიზაციაში სამუშაოდ.

ყველა ზემოდ აღნიშნული მოწმობს იმას. რომ ტფილისის სახ. უნივერსიტეტის კ. კ. პირველადი ორგანიზაციების პრაქტიკიდან ჯერ კიდევ არ არის განდევნილი უსულგულო, ფორმალური ბიუროკრატიული და ჩინოვნიკური დამოკიდებულება კ. კ. მისაღებ ახალგაზრდებისადმი და კერძოთ კი აღრიცხვის მუშაობისადმი.

დასკვნა მხოლოდ ერთია: ტფილისის სახ. უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტმა და თვით პირველად ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ სათანადო შეფასება უნდა მისცეს შექმნილ მდგომარეობას.

ა. მამალაძე.
ი. ხვინგია.

თ ა თ ბ ი რ ი

მიმდინარე სესიების ჩატარებასთან დაკავშირებით

ა/წ. 22 აპრილს ტფილისის სახ. უნივერსიტეტის რექტორატის მიერ მოწვეული იქნა უნივერსიტეტის პროფესორ მასწავლებელთა გაერთიანებული თათბირი მიმდინარე სესიების ჩატარებასთან დაკავშირებით.

თათბირი გახსნა ტფილისის სახ. უნივერსიტეტის რექტორმა ამხ. **კ. ორაგველიძემ.** თათბირი. დღის წესრიგში იდგა სამი საკითხის 1) სესიების ჩატარების შესახებ. 2) საპირველმაისო დღესასწაულის სამზადისი 3) სახ. უნივერსიტეტის შინა განაწესის შესახებ.

რექტორი კ. ორაგველიძე პირველ საკითხის გარშემო მოხსენებისათვის სიტყვას აძლევს სასწავლო ნაწილის გამგეს ამხ. **ალ. პაპავას.**

ამხ. პაპავა ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ხარისხისათვის ბრძოლა ჩვენი მთავარი ამოცანაა მეორე ხუთწლედს პერიოდში ჩვენი მუშაობის ყველა ფრონტზე, სესიების ჩატარებასაც ჩვენ ამ თვალსაზრისით უნდა მიუდგეთ სესიების შესაფერად ჩატარებას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა აკადემიურ წარმატებათა ხარისხისათვის ბრძოლის საქმეში. სესიები ეს არის მთელი წლის მუშაობის შეჯამება ამიტომ უნდა მოვკიდოთ ამ საქმეს ხელი მთელი სერიოზულობით. ამ მუშაობის მიხედვით შეგვიძლია გავსაჯოთ ჩვენი სტუდენტების მიღწევები.

შემდეგ ამხ. **პაპავა** ეხება იმ დეფექტებს რომელსაც ადგილი ქონდა პირველ სემესტრის სესიებში და ამბობს:

„დღემდის ადგილი აქვს უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას სტუდენტთა შეფასებისადმი. თვალის ახვევის, მოტყუილების ფაქტებს რაც გამოიხატება ცოდნის არა ობიექტურად შეფასებაში, ლიბერალიზმში. ლექტორები დათმობაზე მიდიან სტუდენტებისადმი ადგილი აქვს შებრალების, მუქარის და სხვა მოტივებით ნიშნების აწევას. მეორეს მხრივ ჩვენი ინსტრუქცია იმის შესახებ, რომ მათ ეწარმოებიათ სტუდენტების ნამდვილი ობიექტური შეფასება და ეწარმოებიათ ბრძოლა ლიბერალიზმთან ნათ გაიგეს, როგორც ერთგვარი საკანტროლო ციფრის მიცემა და ახდენდენ ნიშნების მექანიკურად დაწევას, მაგ. სტუდენტს თუ ერგებოდა 5-ი უწერდენ 4-ს. 4-ი თუ ერგებოდა 3-ი და ა. შ. და მათ წინაშე თავს იმართლებდენ იმით, რომ თითქოს ამ მოთხოვნას მათ უყენებს სასწავლო ნაწილი. რასაკვირველია ჩვენ ასეთ მავნე ტენდენციას უნდა ვებრძოლოთ. მთავარი საკითხი მიმდინარე სესიებზე არის სტ. ცოდნის ობიექტური შეფასება“.

ამხ. პაპავა ამახვილებს რა ყურადღებას სტუდენტთა შეფასების პოლიტიკურ მნიშვნელობაზე ამბობს „ის ვინც ნიშანს არ სწერს და სტუდენტის ცოდნას არ **აფასებს ობიექტურად ის ეწევა თვალის ახვევას„ ხელს უშლის მაღალ ხარისხიან კადრების მომზადებას, ატყუილებს ხელისუფლებას“.** შემდეგ ამხ. პაპავა ჩერდება სტუდენტთა აკადემიურ ცოდნის შეფასების საკითხებზე და აღნიშნავს „რომ სტუდენტთა მთელი ცოდნის შეფასება არ შეიძლება თუ კი ლექტორი მთელი წლის განმავლობაში არ აწარმოებდა მისშეფასებას. ამხ. პაპავას მოყავს მთელი რიგი ფაქტები. როცა რიგი ლექტორებისა არ აწარმოებდენ მთელი წლის განმავლობაში სტუდენტთა შეფასებას რასაკვირველია ეს არის დამახინჯება, შემდეგ ამხ. პაპავა ჩერდება არა სასესიო საგნებზე და აღნიშნავს მთელი რიგი ლექტორებისა არა სასესიო საგნებს გულგრილად ეკიდება. ის მიაჩნიათ მეათე ხარისხოვან საგნათ, არ აწარმოებენ წლის განმავლობაში აღრიცხვას და უკანასკნელ ორი ან 4 საათს უთმობენ საგანში გამოკითხვას და მის საფუძველზე სვამენ ნიშნებს. რასაკვირველია ეს დამახინჯება არის სასწავლო ნაწილის ინსტრუქციისა. შემდეგ პაპავა ჩერდება კომისიების მუშაობაზე და მის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე სტუდენტთა ცოდნის შეფასებაში და ამხელს კომისიების შეუფასებლობის ტენდენციის ფაქტებს. ამავე დროს ამხ. პაპავა ხაზს უსვამს სტუდენტების სამკუთხედების ჩარევის ტენდენციას სტუდენტთა შეფასების საქმეში და ამბობს, რომ მსგავს მოვლენებს სასტიკად უნდა შევებრძოლოთ. უკანასკნელად ამხ. პაპავა მოაგონებს კათედრებსა და ლექტორებს, რომ სესიების დაწყებამდის და მის მიმდინარეობის პროცესში საჭიროა გაეწიოს დახმარება ჩამორჩენილ სტუდენტებს. ამხ. პაპავა თავის სიტყვას ათავებს შემდეგი სიტყვებით. „სტუდენტთა შეფასებაში მხოლოდ ერთი მოტივი მიიღება. ეს მოტივია სტუდენტთა ცოდნა დანარჩენი მოტივი სტუდენტთა შეფასებისა არ არსებობს“.

ამხ. პაპავას მოხსენების გარშემო კა**მათში მონაწილეობა მიიღეს: პროფ ხარაძემ, ჩიქობავამ და ჩახვაძემ.**

შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდა სახ. უნივერსიტეტის **რექტორი** ამხ. **ორაგველიძე.**

ამხ. ორაგველიძე თავის სიტყვას იწყებს სესიების იმ დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობით, რომელსაც აძლევს მას რექტორატი და ამბობს „რატომ დავაყენეთ ჩვენ ეს საკითხი? ეს მეტად მნიშვნელოვანი მხარეა ჩვენი მუშაობის და ის მოითხოვს დიდ წინასწარ ორგანიზაციულ მუშაობას. ჩვენ დღეს ვაყენებთ პირველ რიგში მუშაობის ხარისხის საკითხს იქნება ეს სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის თუ სხვა მხარე ჩვენი მუშაობის. კერძოდ ეს შეეხება სახ. უნივერსიტეტსაც. შემდეგ ამხ. **ორაგველიძე** ეხება რა სტუდენტთა მაღალ ხარისხობრივ მაჩვენებლებისათვის ბრძოლას ამბობს რომ „ჯერ კიდევ ჩვენი სტუდენტთა აკადემიური მომზადების დონე დაბალია“ ამხ. ორაგველიძეს აქ მოყავს რამდენიმე ფაქტი. კერძოდ ეხება უნივერსიტეტის ზოგიერთ ასპირანტების დაბალ დონეს. და მოყავს ამხ. ხელაძის მაგალითი „ამხ. ხელაძე— ამბობს ამხ. ორაგველიძე მოსკოვში იყო გაგზავნილი ასპირანტურაში მუშაობის სამი წლის შემდეგ და იქიდან მოვიდა ისეთი შეფასება, რომ ის შეიძლება გამოდგეს მეორე ან მესამე კურსის სტუდენტად და არა ასპირანტად—შემდეგ ამხ. ორაგველიძე განსაკუთრებულად ხაზს უსვამს მიმდინარე სესიებს. და ამბობს „ჩვენ ახლა მოვითხოვთ უფრო მეტს ვიდრე ოდესმე. ლოზუნგი რომლითაც ჩვენ შევდივართ გამოცდაზე ეს არის „მეტი მოთხოვნა“—მოვითხოვთ მეტს ვიდრე მას ვითხოვდით დღემდე.

დიდი საფრთხე სესიების დროს ეს არის ლიბერალიზმი, რაც თვალის ახვევის და მოტყუილებას მოასწავებს“ შემდეგ ამხ. ორაგველიძე ჩერდება იმ დეფექტებზე, რომელსაც მიმდინარე აღრიცხვები ააშკარავებენ.

ამხ. ორაგველიძე ხაზს უსვამს იმ მავნე ტენდენციებს, რომელსაც სტუდენტები იჩენენ ლექტორის მიმართ, რაც გამოიხატება ლექტორების ერთგვარ დაშინებაში, სამკუთხედის ჩარევაში სტუდენტის შეფასებაში და სხ. ამხ. ორაგველიძე თავის სიტყვას შემდეგით ათავებს“ ჩვენ მოვითხოვთ სტუდენტთა აკადემიური ცოდნის ობიექტურ შეფასებას უნდა ვებრძოლოთ როგორც ლიბერალიზმს ასევე სტუდენტთა ნიშნის უმართებულო დაწევის ტენდენციას.

უნივერსიტეტის თითეულ პროფესორს დოცენტს და სტუდენტს ძვალსა და რბილში უნდა ქონდეს გამჯდარი ის აზრი რომ სახელმწიფო უნივერსიტეტი მაგალითის მაჩვენებელი უნდა იყოს სხვა დანარჩენ უმაღლეს სასწავლებლების მიმართ“.

უთავბოლობისა და უპასუხისმგებლობის წინააღმდეგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესამე საკავშირო შეჯიბრების მაჩვენებელთა შორის მნიშვნელოვანია სტუდენტთა კულტ-საყოფაცხოვრებო მომსახურეობისათვის ზრუნვა. ამ მხრივ უნივერსიტეტის სინამდვილეში აშკარა უსულგულო დამოკიდებულებასთან გვაქვს საქმე.

სახ. უნივერსიტეტის დირექციამ მიმდინარე სამოსწავლო წელს შეიძინა 40 ათასი მანეთის სხვადასხვა თეატრის ბილეთები.

სტუდენტთა აღმასბიუროს მიღებული აქვს 34 წ. 16 ოქტომბრიდან 35 წ. აპრილამდის 7729 ცალი ბილეთი აქიდან გადაცემულია ფაკულტეტის პროფ-ორგანიზაციებზე აკადემ. ჯგუფებისათვის 6625 ცალი. დანარჩენი 1104 ცალი დატოვებული აქვს აღმასბიუროს აქტივისათვის და დანაწილებულია შემდეგნაირად: გაცემულია კომკავშირის კომიტეტის 68 ცალი ბილეთი. კორპუსებისათვის 429 ც. მუშფაკისათვის 82 ც., აღმასბიუროს მომუშავეებისათვის 438 ცალი. არ არის არავითარი სია და საბუთი იმისა, თუ ვის მიეცა ბილეთები. აცხადებენ მხოლოდ. მივიღეთ, მივეცით ჩვენს აქტივსო. ეს კი სტუდენტთა ბილეთების გაცემის ბოროტად გამოყენებაა. სწორედ იმის გამო, რომ ბილეთები გაყოფილია „აქტივისათვის“ და „პასივისათვის“ „აქტივის“ წაღებული აქვს 10-15 ბილეთი და მეტიც და ამრიგად ძალზე გადატვირთულია ბილეთებით. „პასივის“ წევრები უფრო სწორად რომ ვთქვათ, დამკვრელი რიგითი სტუდენტები დაუტვირთავი დარჩენ სტუდენტთა ნახევარს არცერთი ბილეთით არ უსარგებლია

თვით ბილეთების გაცემა პროფკომებისა და აღმასბიუროს მიერ ხდება უსისტემოდ და ადგილი აქვს ბილეთების განიავების შემთხვევებს. ასე მაგ: საფ. სექციას (სპეც ბიუროს თავ—რე; კ. შეროზია) აღმასბიუროდან მიღებული აქვს 607 ც. ბილეთი. ჯგუფებზე და ინდივიდიალურად გაცემულია 573 ცალი. უგზო-უკვლოდ დაკარგულია (ალბად ძმაბიჭებზე გაცემულია) 34 ცალი. ფიზიკურ-მათემატიკურ ფაკ. პროფკომს მიღებული აქვს 346 ცალი ბილეთი, გაუცია 35 წ. 23 მარტამდის პროფორგებზე და ინდივიდულურად 285 ცალი ბილეთი. 61 ცალი კი „გაიმასქნებულია“.

გეოგრაფ-გეოლოგიური ფაკულტეტის პროფკომს (ნიჟარაძე) 17(10—16)4 35 წ. მიუღია აღმასბიუროდან 524 ცალი ბილეთი გაუცია 369 ცალი, 165 ცალი კი სად წავიდა, ეს ალბათ თვით **ნიჟარაძემ** უფრო იცის. ასეთივე დანაკლისები და უთავბოლო განაწილება ყველა ფაკულტეტის პროფორგანიზაციას ახასიათებს

ფაკულტეტის პროფორგანიზაციებიც უპასუხისმგებლოდ ანაწილებენ ბილეთებს ასე მაგ: 96 ჯგუფში, სადაც 42 სტუდენტია, მიღებული აქვთ 109 ბილეთი. 71 ჯგ., სადაც 21 სტუდენტია, 62 ც. ბილეთი. 39 ჯგ., სადაც 15 სტ., 80 ცალი.

პირველ ჯგუფს (24 სტ.) მიღებული აქვს 95 ცალი ბილეთი; 50 ჯგ. (30 სტ.) მიღებული აქვს 68 ცალი., 48 ჯგ, (30 სტუდენტი) მიუღია 104 ცალი. ეს იმიტომ მოხდა, რომ აღნიშნულ 48 ჯგუფში „სპეც ბიუროს თავ—რე პატივცემული კალე შეროზიაა“.

მაშინ როდესაც 31 ჯგუფს სადაც 30 სტ. ირიცხება, მიღებული აქვს 17 ცალი 63 ჯგ., სადაც 26 სტუდენტია, მიღებული აქვს 9 ცალი; 87 ჯგ., სადაც 27 სტუდენტია, 7 ცალი; 9 ჯგუფს, სადაც 35 სტუდენტია—9 ცალი.

ასეთივე მდგომარეობაა თითქმის ყველა ფაკულტეტებზე და ჯგუფებში. ამას ემატება პროფკომების მიერ ბილეთების ინდივიდიალურად ძმა ბიჭებზე და აქტივზე გაცემა. ასე მიდის ბილეთები ზევიდან და რიგითი სტუდენტობა ძლივს-ძლიობით თუ ეღირსება თეატრში წასვლას. წავიდენ თუ არა ესეც საეჭვოა, რადგან სიაც კი არ მოიპოვება. რომელ პროფორგანიზაციასაც გინდათ შეეკითხოთ, პასუხი ასეთია: **მიდი ჯგუფში და იქ გაიგებ**, თუ ვინ წაიღოო“ მაგრამ სინამდვილეში არც ჯგუფებს აქვს ხელმოწერა გაცემულ ბილეთებზე. ამის გამო ადვილი შესაძლებელია ბილეთების გადაყიდვაც. ბილეთების არაწესიერი მოხმარების შედეგად ფიზ.-მათ. ფაკ. გაუქმებული აქვს 13 ბილეთი ასეთივე მდგომარეობაა ზოგიერთ სხვა ფაკულტეტზე და თვით აღმასბიუროშიც

აღმასბიუროსა და პროფკომებს საკონტროლოდ აქვს სპეციალური ფონდი ბილეთებისა მაშინ, როცა საკანტროლო ფონდები გამოყენებულია თვითმომარაგების მიზნით. კონტროლი კი არსად ჩანს.

ასეთივე მდგომარეობაა ფეხსაცმელებისა და ტანსაცმელების შესაკერი ორდერების მიღება-განაწილების საქმეში. ტფილისის სამომხმარებლო ორგანიზაციათა კავშირიდან მიღებულია: 28/12-35 წ. 13 ორდერი შეკერილი ტანსაცმელისა 4/135 წ. მიღებულია 15 ცალი ფეხსაცმელების ორდერი; 17/4-35 წ. ტანსაცმელის ორდერი 20 ცალი ნამიჩეიშვილის ხელმოწერით. 19/9-34 წ. შესაკერი ორდერი 14 ცალი ვინმე ჯანელიძის ხელმოწერით. სულ მიმდინარე სასწავლო წელს მიღებულია 61 ცალი სხვადასხვა ორდერი. აქიდან 8 ცალი მიღებული აქვს ადგილკომს, 40 ცალი სტუდენტთა აღმასბიუროს. დანარჩენი 14 ცალი კი უგზო-უკვლოდ არის დაკარგული—**ბოროტი ენები ამბობენ მითვისებულიო.**

აღმასბიუროს მიერ მიღებული 40 ცალი ორდერი სრულიად უწესრიგოდ არის განაწილებული. ფეხსაცმელის თითო ორდერი მიღებული აქვს: **ჭიქაშვილს** (სარევიზიო კომისია) **მანწკავას, სარჯველაძეს** (დეპ. ჯგუფი), **ს. ფაჩულიას** (ეკ. ფაკ. კ. კ. კომიტეტი), და დანარჩენი კი აღმასბიუროს მიერ გაცემულია პროფკომებზე. მაგ: ეკ. ფაკ. 11 ცალი ორდერი პროფკომის თავ-რეს ე. **ჩაჩუას** განაწილებული აქვს შემდეგნაირად: ორი ცალი თავისი ჯგუფის წევრებზე **ცხოიძეზე** და **ცაგურიაზე** რომლებიც მოსამსახურეებია, ორი ცალი ორდერი საგეგმოზე, ორი ცალი საფინანსო სექციაზე. საფინანსო სექციის თავ-რე კალე **შეროზიამ** მიითვისა ერთი ცალი და ერთიც თავის ძმაბიჭს ურთიერთ დამხმარე სალაროს თავ-რეს ბაღდავაძეს მისცა.

დანარჩენი 7 ცალი ორდერი კი „ცურავს“ აღმასბიუროსა და ეკ. ფაკ. პროფკომს შორის. ბოროტი ენები ამბობენ განიავებულიაო. აგრეთვე აღმასბიუროდან მიღებული აქვს ერთი ორდერი ქიმიურ ფაკულტეტს ეს ორდერი პროფკომმა მისცა პარტორგ **ხაჩიშვილს.** ფიზიკურ-მათემატიკურ ფაკულტეტზე აღმასბიუროს მიერ გაცემულია სამი ცალი ორდერი.

პროფორგი **თავბერიძე აცხადებს**, რომ არ მიუღია. საინტერესოა სად წავიდა ეს ორდერი, ისტორიულსაც აქვს მიღებული 29/12. 2 ორდერი ერთი ცალი **ჯიბეში** აქვს პროფკომის თავ-რეს და **უცდის** შედეგებს დანარჩენი ორდერები ძმა ბიჭურად არის განაწილებული პროფკომების მიერ, ამრიგად ორდერები არ სცილდება აღმასბიუროსა და პროფკომის თავ-რეების კაბინეტებს და ნაწილდება ხელმძღვანელ ამხანაგებზე და სტუდენტობა კი უცდის ორდერებს.

ასეთი დამოკიდებულება ორდერებისა და თეატრის ბილეთების განაწილებისადმი აშკარაა დანაშაულს უდრის, რასაც უნივერსიტეტის ბოლშევიკურმა პარტიულმა კომიტეტმა და რექტორატმა სათანადო დასკვნა უნდა გაუკეთოს.

ზ. რამიშვილი.

ი ვ. მ უ ჯ ი რ ი

ვ ი ს რ ა ე ს ა ქ მ ე ბ ა

უნივერსიტეტში დისციპლინის განმტკიცების საქმეში ამ უკანასკნელად ბევრი რამ არის გაკეთებული. მაგრამ ჯერ ჯერობით გვყავს ისეთი სტუდენტები და ცალკეული ჯგუფები, რომლებიც ვერ დგანან თავიანთ სიმაღლეზე და არ ზრუნავენ თეორიული დონის ამაღლებისათვის.

მაგალითად ეკ. ფაკულტეტის 98 ჯგუფში არის ე. წ. „საპატიო“ სტუდენტი **ალექსანდრე ელიავა**, რომელსაც პირველი სემესტრში სამ საგანში სუსტი აქვს, სისტემატურად აცდენს ლექციებს, ხოლო მეორე სემესტრში სრულებით არ დასწრებია. რომ ჰკითხოთ, თუ რატომ აცდენს ლექციებს, გაბრაზებული მედიდურად გიპასუხებთ: მე ფიზკულტუროსანი ვარ, იქ ვმუშაობ და, თუ მოვისურვებ, დავესწრები ლექციას, თუ არა და არა, ვის რა ესაქმება, საპატიო სტუდენტი ვარო.

ამავე დროს ჯგუფში არიან დისციპლინის დამრღვევი სხვა სტუდენტებიც: **ა. დუნდუა, შ. მარგველაშვილი, ვ. ცქიტიშვილი** და სხვები უმიზეზოდ აცდენენ ლექციებს, არ ემორჩილებიან ჯგუფის სამკუთხედს. საერთოდ ჯგუფის ზოგიერთი სტუდენტები შეგნებული დისციპლინის განმტკიცებისა და აკადემიური დონის ამაღლებისათვის არ ზრუნავენ. მაგრამ პირველი კურსის სტუდენტებზე რა გვეთქმის, როცა მეოთხე კურსის სტუდენტმა (ეკ. ფაკ.), კომკავშირელმა **დავით ხეფიაშვილმა** კლუბში პარტდღეზე ჭადრაკის თამაში დაიწყო, ატეხა ხმაურობა, მითითება არ მიიღო და კლუბის ადმინისტრაცია მასხარად აიგდო.

დროა ასეთი სტუდენტების წინააღმდეგ ფაკულტეტის სამკუთხედმა მიიღოს გადამჭრელი ზომები.

გ. რუხაძე.

ს ა ქ მ ი ა ნ ი ე ქ ს კ უ რ ს ი ა

1935 წლის 19 აპრილს საქონელთ-მცოდნეობის კათედრის მიერ პროფ. **კ. მეგრელიძის** ხელმძღვანელობით საფინანსო-სავაჭრო სექციის მესამე კურსზე მოეწყო ექსკურსია. დავათვალიერეთ: ბამბის ორი სახის წარმოება და ტყავისა და ქეჩის დამამზადებელი ფაბრიკები, ექსკურსიამ დიდი ინტერესი გამოიწვია სტუდენტთა შორის. თითოეულმა სტუდენტმა პრაქტიკულად ნახა თეორიულად შესწავლილი მასალა.

საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს ამ ფრიად მნიშვნელოვან საქმეს—ექსკურსიების მოწყობას.

მ. ხუხუნაიშვილი.

ესეც აღებულ ვალდებულებათა შესრულებაა

ისტორიული ფაკულტეტის კათედრები ჩაება სოც-შეჯიბრებაში და მას მიღწევებიც ჰქვს, მაგრამ ამასთან ერთად აქვს სერიოზული დეფექტებიც.

ისტორიულ ფაკულტეტზე პედ. პერსონალიდან სოც-შეჯიბრებაში ჩაბმულია მხოლოდ 23 რაც ნათლად ადასტურებს იმას, რომ აქ ფორმალურად უდგებიან შრომის სოციალისტური ფორმების გაშლის საქმეს. ამხ. **ფირცხალეიშვილმა** წაიღო გასაფორმებლად 10 ხელშეკრულება რომლებიც მას დღემდის არ წარმოუდგენია.

ასეთივე ფორმალური დამოკიდებულებაა სოც-შეჯიბრების გაშლის საქმისადმი კათედრებს შორის. 12 კათედრიდან სოც-შეჯიბრებაში ჩაბმულია მხოლოდ 7. შეჯიბრების მუხლები კალენდარულად არაა დახუსტებული და თანაც არა დასახელებული წასაკითხავი თემების სახელწოდება. მთელ რიგ ხელშეკრულებებს ახასიათებს არა კონკრეტულობა და ზოგადობა.

საქართველოს ისტორიის კათედრამ „ისეთი“ ძალიმე მუხლიც კი აიღო ვალდებულებად, რომ არ გააცდენს არც ერთ საათს მოისმენს კათედრის ყველა წევრის მოხსენებას რაც კათედრას თავისთავად ევალება სოც-შეჯიბრების გარეშეც.

ფაკულტეტს ჯერ-ჯერობით არ აქვს შესრულებული აღებული ვალდებულება, რომ ჩაეტარებია სამეცნიერო პოპულარული ხასიათის ლექცია წითელი ჯარის ნაწილებში, დეკანი და კათედრის გამგეები არ ესწრებიან ლექციებს სისტემატურად და სხ.

ცალკეული კათედრების მხრივ ასეთი სურათია

მატერიალური კულტურის ისტორიის კათედრა (გამგე პროფ. **ნიორაძე**) თუ რომელიმე კათედრაზე შეიძლება ითქვას, რომ იგი უმოქმედოა. ეს პირველ რიგში ამ კათედრის შესახებ ითქმის.

ძველი ისტორიის კათედრაც (გამგე პროფ. **ა. წერეთელი**) არსებითად თვითდინებაზეა დამყარებული. ამ კათედრის ხელმძღვანელობას ერთი თავისებურება ახასიათებს: კათედრის მიერ აღებულ ვალდებულებათა შესრულება მაშინ გააზსენდებათ, როდესაც დაიწყება მისი მუშაობის შემოწმება და თითქმის ყველა კითხვაზე ასეთ პასუხს იძლევა „ჯერ არ გაკეთებულა, მაგრამ ამ დღეებში გაკეთდება“ ასე მოიქცა კათედრის მდივანი ამხ. **კალანდაძე**, რომელმაც განაცხადა სტუდენტთა სამეცნიერო წრეში „დღემდის არაა წაკითხული არც ერთი მოხსენება მაგრამ ამ დღეებში უსათუოდ ჩატარდებაო“ ადგილი აქვს ლექციების კარნახს და მის შემდგომ გაზეპირებას.

საქართველოს ისტორიის კათედრას ჯერ კიდევ არ ჩაუტარებია ინდივიდუალური კონსულტაციები სტუდენტებთან, მიუხედავათ იმისა, რომ ასეთი ვალდებულება აქვს მუხლში შეტანილი.

კათედრის ხელმძღვანელობა ამხ. **ლ. ციხისათვის** სახით სისტემატურად არ ესწრება ლექციებზე.

დიალექტიკური მატერიალიზმის კათედრა: კათედრას ჯერ კიდევ არ მოუხდენია პროგრამების შესწორება იდეურ-პოლიტიკურ გამახვილების ნიშნის მიხედვით. როგორც კათედრის მდივანმა **თოფურიამ** განცხადა კათედრის გამგის დასწრება ლექციებზე შესამოწმებლად ვერ ხდება სისტემატურად. ზოგიერთ ლექტორებს (პროფ. **კ. ბაქრაძეს**, პროფ. **მ. გოგიბერიძეს** და სხ.) ახასიათებდათ პირველი სემესტრის შედეგების დროს ლიბერალიზმი ნიშნების დასმის საკითხში.

ისტორიული ფაკულტეტის სამკუთხედმა და კათედრებმა უნდა უზრუნველყოს აღებულ ვალდებულებათა შესრულებაში არსებული დეფექტების გამოსწორება.

ა. კალაძე ა. ფანცხავა.

საქმის გამიანურებლებს უნდა მოეთხოვოს პასუხი

ზოგიერთი ფაკულტეტის პროფორგანიზაცია ჯერ კიდევ არაა განთავისუფლებული საქმისადმი უსულგულო, ბიუროკრატიული დამოკიდებულებისაგან. ისინი ჯერ კიდევ არ დაუფლებიან ცოცხალი, კონკრეტული მოქნილი მუშაობის სტილს. მაგ. ქიმიური ფაკულტეტის პროფ-ორგანიზაცია არ აქცევს ყურადღებას სტუდენტთა განცხადებებს, აჭიანურებს მათ განხილვას. თამარა კაკულიას განცხადება პროფკავშირში მიღების შესახებ, 1934 წ. 13 აპრილს შემოტანილი, განხილულია იმავე წლის 14 ნოემბერს. ამხ. პატარაიას განცხადება შემოიტანილი 1934 წ. 15 მარტს, განხილულია გასული წლის 14 ნოემბერს. არცერთ განცხადებას არ აქვს რეზოლუცია, მხოლოდ ფაკულტეტის პროფ-ორგის პირადი განცხადებით დამტკიცებული არიან 1934 წლის 14 ნოემბერს.

ფაკულტეტის პროფ-ორგანიზატორი ნაცვლად იმისა, რომ რეიდისათვის მიეწოდებია სწორი მასალა, ცდილობდა თვალი აეხვია და მიეჩქმალა საქმის ნამდვილი შინაარსი; აბა რას ნიშნავს ეს განცხადება: განცხადების განხილვა ფაქტურად დაგვიანებული კი არ არის, არამედ განცხადებების შემომტანთ განცხადებაზე შეცდომით უწერიათ რიცხვიო. უპასუხისმგებლობა ამაზე შორს ვერ წავა. იმას მაინც რით გაამართლებენ, რომ პელაგია კაჭარავას და აკაკი ტატიშვილის 1935 წლის 13 მარტს შემოტანილი განცხადებები კავშირში მიღების შესახებ ახლაც არ არის განხილული.

ფიზიკურ-მათემატიკური ფაკ. პროფორგანიზატორმა სამი დღის განმავლობაში ვერ მოიცალა ეჩვენებია საქმეები რეიდისათვის. რადგან მას ეს მდივნის გარეშე არ შეეძლო და ამით გამოისტუმრა რეიდი.

ექ. ფაკულტეტზე სხვა დეფექტებთან ერთად აღსანიშნავია ურთი-ერთ დამხმარე სალაროს (სალაროს თავრე შ. ბაღდავაძე) უყაირათო მუშაობა, ფულის ძმაბიჭური გაცემა. აღმასბიუროს დადგენილებით სტუდენტზე შეიძლება გაიცეს სესხად 30 მანეთი. სინამდვილეში კი, ნაცვლად 30 მანეთისა, გაცემულია ძმაბიჭებზე 70-80 მანეთი. აქვე ადგილი აქვს სტუდენტთა გინცხადებებისადმი უსულგულო ბიუროკრატულ და უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას. 13 იანვარს შემოტანილია განცხადება მარო სარჯველაძის მიცემულია სესხი თებერვალში ურეზოლუციოდ ასე.კალე კახაძის, ირა ფალავანდიშვილისა და სხვათა განცხადებების მიხედვით გაცემულია ფული ყოველგვარი რეზოლუციისა და დადგენილების გარეშე. მთელი რიგი სტუდენტების ბირკაიას, შუბლაძის, კასრაძის და სხ.) განცხადებები პასუხის გარეშეა დატოვებული.

მთელი რიგი პროფ-ორგანიზაციები ნაკლებად ზრუნავენ საწევრო დავალიანებების დაფარვისათვის. ასეთებია: ფიზ. მათემატიკური, ლიტერატურული და სხვა ფაკულტეტები, სადაც დავალიანება 10 თვემდის აღწევს.

თვალთმაქცი ფალავა და გაგუნია

სამართლის ფაკულტეტის II კურსის № 79 ჯგუფში ხშირად ირღვევა შრომის დისციპლინა. სტუდენტთა ერთი ნაწილი სისტემატიურად აცდენ ლექციებს, დაგვიანებით მოდიან და ატარებიან ლექციები დან. ნათქვამის ნათელსაყოფად მოვიყვანოთ ფაქტები: 15 აპრილს სამეურნეო სამართლის ლექციაზე (ტარდებოდა საღამოს 9—11 საათამდე) დაესწრო 13 კაცი, მაშინ როდესაც ჯგუფში 30 სტუდენტი ირიცხება, დანარჩენები კი გაიპარნენ ლექციიდან. დაგვიანება-გაპარვაში განსაკუთრებით თავი ისახელეს თათარაშვილმა, ლეჟავამ და გაბუნიამ.

აღნიშნული ვაჟბატონები სისტემატიურად არ ცხადდებიან ფიზკულტურულ მეცადინეობაზე. ამ გარემოებას ხელს უწყობს ჯგუფხელის ფალავას უპასუხისმგებლო მოქმედება. იგი თვითნებურად ათავისუფლებს ძმაბიჭებს ლექციებიდან, სამაგიეროდ სააღრიცხვო ჟურნალში ნაკლებად ნახავთ „არა“-ს.

ფალავას თავხედობა იქამდისაც კი მივიდა, რომ ლექციებზე გამოუცხადებლობის გამო სააღრიცხვო ჟურნალი 3 დღეს 14, 15 და 16 აპრილს. სახლში ჰქონდა და ჯგუფში აღრიცხვა არ წარმოებდა.

სრულიად უპასუხისმგებლოდ იქცევა სტუდენტი გაბუნია. იგი თვალს უხვევს ჯგუფის სამკუთხედს. მან მოახერხა მარტის თვის სტიპენდიის მიღება და ეხლა ემზადება აპრილის თვის სტიპენდიის მისაღებად მაშინ, როდესაც ის უკვე ორ თვეზე მეტია, რაც მსახურობს კიროვის სახელობის რაიონის აღმასრულებლად, საინტერესოა, სანამდის გაგრძელდებასეთი მდგომარეობა?.

შ. ხუხუა.

დამკვრელი პროპაგანდისტი
შ. მახარაშვილი

აღმასბიუროს ხაზითაც არის განცხადებები, რომლებიც არაა განხილული. ამასთან ერთად აღმასბიუროს აქვს „მშვენიერი“ დადგენილებები საპარიკმახეროს, დამკ. სასადილოს მუშაობის, საწევრო ანარიცხების, კოოპერაციის და სხ. შესახებ, რომელთა შემოწმება არ მომხდარა.

დაუყენებლივ უნდა განიდევნოს პროფ-ორგანიზაციის მუშაობაში ფორმალურ-ბიუროკრატიული დამოკიდებულება საქმისადმი.

ი. მარგიანი
კუპრეიშვილი

საკლუბო მუშაობაში უნდა დროსდეს არსებითი გარღვევა

სახ. უნივერსიტეტს უკვე აქვს საუცხოოთ მოწყობილი კლუბი, რომელსაც გაუკეთდა კაპიტალური რემონტი. მაგრამ კლუბის დირექციის უხეირო და ფუჭასუხისმგებლო მუშაობის შედეგად წარმოდგენები და კინო სურათების ჩვენება მიმდინაროებს შემთხვევითად. კლუბის სცენა არაა გაფორმებული როგორც ეს საჭიროა.

კლუბში გამეფებულია უდისციპლინობა, რაც მთავარია კლუბთან არსებულ წრეებში არაა ჩაბმული სტუდენტთა ფართო მასა. კომკავშირი და აღმასბიურო თითქმის არავითარ ყურადღებას არ აქცევდა კლუბთან არსებულ საწრეო მუშაობას, რის შედეგადაც წრეებში სტუდენტთა ჩაბმა და მონაწილეობა ძლიერ სუსტია. ასე მაგ: ჭადრაკის წრე (ხელმძღვანელი ამხ. კანკავა) რომელიც აერთიანებს 85 სტუდენტს, ჩამოყალიბდა პირველ სემესტრში. აღნიშნულმა წრემ მეორე სემესტრში ჩაატარა ერთი ტურნირი რომელიც არ დამთავრებულა. წრის მუშაობას აფერხებს საჭადრაკო სათამაშოების უქონლობა.

კლუბთან არსებობს სასულე ორკესტრი, სადაც გაერთიანებულია 18 სტუდენტი, რომელსაც ხელმძღვანელობს კომპოზიტორი შავრზაშვილი მისი მუშაობა სრულებით არ ირის დამაკმაყოფილებელი. მეტად სუსტია დისციპლინა. წრეს თავი არ შეუწუხებია მოწვევების აყვანისათვის, ინსტრუმენტები ნახევარზე მეტი საგრძნობლად დაზიანებულია და ყრია პატარა უსუფთაო ოთახში, რაც ხელს უწყობს მაო უფრო მეტად დაზიანებას.

ეს როგორ ეპყრობიან სტუდენტებს

უნივერსიტეტის სოც-ყოფაცხოვრების სექტორი ნაკლებად ზრუნავს ცალკეულ სტუდენტთა მდგომარეობის შესასწავლად. ასე მაგ: **ლ. ოთარაშვილმა** (ისტორიული ფაკულტეტი, ყოფილი მოჯამაგირე) **ა. ბუაძემ ვ. ტყეშელაშვილმა**, ჯერ კიდევ 1934 წელს მიმართეს სოცყოფაცხოვრების სექტორს განცხადებით საერთ ბინაში ჩასახლებლად მაგრამ არ მოხერხდა მათი დაკმაყოფილება, რის გამო აღნიშნული სტუდენტები იძულებული გახდენ აეღოთ აკადემიური შვებულება. აღნიშნული ამხანაგები მიმდინარე წელს აღდგენილი იქნა შეიტანეს განცხადება მაგრამ ბინა მაინც ვერ მიიღეს, და დღესაც **ნამიჩეიშვილის** წყალობით უბინაოდ არიან, რაც ხელს უშლის მათი აკადემიური წარმატებას. რაშიაც გამოიხატება საყოფაცხოვრებო სექტორის მიერ აშკარა უსულგულო დამოკიდებულება სტუდენტების მიმართ.

საერთო საცხოვრებელში მცხოვრებ სტუდენტების მიერ არის მომართვა სექტორში. რომ მათ არ აქვთ ლამპა, ნავთი და სხ. მაგრამ ამ მოთხოვნას ჯერაც არ ღირსებია პასუხის გაცემა რის გამოც სტუდენტებს უხდებოდათ ბნელაში ყოფნა და ხელი ეშლებოდათ მეცადინეობაზე ნამიჩეიშვილის პასუხი ასეთია „ფული არ არის“ სტუდკომის რამდენიმე მომართვა დადგენილებითურთ ეკ. ფაკ. ჯგ. № 1 ამხ. პატარაიას შესახებ, რომ მისთვის ეყიდათ ლოგინის რომლის შეძენის საშვალება ამხანაგს არ გააჩნია. აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ მთელ რიგ ფაკულტეტებზე გვყავს ისეთი სტუდენტები რომლებიც შესწავლილი არ არიან, იღებენ სტიპენდიას და სარგებლობენ ღარიბი სტუდენტების უფლებით- მაგ. ლიტ. ფაკულტეტზე **ერემაძე თამარა**, რომლის მამა ემიგრანტია ის კი სტიპენდიასაც იღებს, 115 ჯგუფში სუკანსკაია მადონა დვალი და სხ.

სირაძე

მოცეკვავეთა წრეში ჩაბმულია 100 სტუდენტი (ხელმძღვანელი ჯორბენაძე) წრე იყოფა 5 ჯგუფად. ინსტრუმენტების უქონლობის და წრის უდისციპლინო-უგეგმო მუშაობის შედეგად სწავლება ვერ სდგას თავის სიმაღლეე. მომღერალთა წრეში ირიცხება 75 კაცი, სადაც მეცადინეობა მიმდინარეობს 6 დღიურში 2 ჯერ. (ხელმძღვანელი ფოცხვერაშვილი) გუნდში აკადემიური სიმღერები მუშავდება ნოტებით. გუნდთან ჩამოყალიბებულია ხალხური სიმღერების შემსწავლელი ჯგუფები. დრამ წრეში ირიცხება 45 სტ. პირველი სემესტრთან შედარებით წრის მუშაობა ძალზე სუსტია დღემდის გარდა 1-თისა წარმოდგენა არ დაუდგამთ. არსებობს ფოტო წრე, რომელშიდაც გაერთიანებულია 100 სტ. პირველ სემესტრში წრე კარგად მუშაობდა, გამოუშვა საკმაოდ მომზადებული ამხანაგები. მეორე სემესტრში წრის მუშაობამ სამწუხაროდ მიიძინა, რადგანაც წრის ხელმძღვანელი ჩირგაძე არ მოდის დროზე და აცდენს სამეცადინო საათებს. კლუბის გამგეობა დიდ თანხებს ღებულობს გეგმების შესასრულებლად მაგრამ იგი მიზან შეწონილად არ არის გამოყენებული. სუსტია დისციპლინა კლუბის მომუშავეთა შორისაც არ ექცევა სათანადო ყურადღება სტუდენტთა კულტურულ მომსახურეობას.

კლუბს მოეპოვება ყველა ობიექტიური პირობა მისთვის, რომ უზრუნველყოს სტუდენტთა კულტ-მომსახურეობის დარგში მესამე საკავშირო შეჯიბრების მაჩვენებლების მთლიანად შესრულება.

გ. ყალიჩავა

დისპუტი „ვეფხისტყაოსნის“ და „სიყვარული“ს გარშემო

13 აპრილს ტფილისის სახ. უნივერსიტეტის სალიტერატურო სამეცნიერო წრის ინიციატივით მოეწყოს დისპუტი **მარჯანიშვილი თეატრის მიერ** დადგმული გერმანიის უდიდესი პოეტის **ფ. შილერის „ვერაგობა და სიყვარულის“** გარშემო. დისპუტი შესავალი სიტყვით გახსნა ამხ. **ი. კვირკაძემ.** მოხსენება დადგმის გარშემო გააკეთა დოც. **ალ. ჭეიშვილმა.** თანამომხსენებლად გამოვიდა „ვერაგობა და სიყვარულის„ დამდგმელი **რეჟისორი გ. ჟურული.** კამათში მონაწილეობა მიიღო: **პ. კობახიძემ,** (მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი) **კვესელამ, ხავთასმა, გაბისკირიამ** და სხვა. როგორც მომხსენებელი ისე მოკამათეები მიუთითებდენ რა დადგმის ცალკეულ დეფექტებზე აღნიშნავენ, რომ მიუხედავათ ზოგიერთი უარყოფითი მხარეების „ვერაგობა და სიყვარულის„ დადგმა მარჯანიშვილის თეატრში არის თეატრის მორიგი გამარჯვება, კლასიური მემკვიდრეობის გაცოცხლების კარგი ნიშანი.

რედაქტორი—
სარედაქციო კოლეგია

ჩაითვალოს გაუქმებულ.

სტ. მოწმობა ნიკოლოზ ჩხეიძეს სახელზე სტ. მოწმობა ლეონიდ ნიკოლაევას სახელზე სტ. მოწმობა № 3 ლუბა გულიაშვილის სახელზე სტ. მოწმობა№ 86. დომნა ბობოჭრიშვილის სახელზე. სტ. მოწმობა ვლასი მელიქაძის სახელზე

მთავლიტ № ბ 56 სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბა-ლიტოგრაფია. უნივერისიტეტის ქ. № 1 ტირაჟი 4000 შეკვეთა № 214